

როგორ გავაუმჯობესოთ მზაობა უნივერსიტეტში სწავლისათვის

მირიან ყენია¹, დარეჯან დალბაშვილი², რუსუდან ხოშარაული³

¹ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი; თბილისი, საქართველო;

^{2,3} ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი, საქართველო;

ანოტაცია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეთა მზაობის გაზრდა უნივერსიტეტში სწავლისათვის. ამ მიზნის მისაღწევად კვლევის ფარგლებში დაიგეგმა ინტერვენციები ორი ძირითადი მიმართულებით:

(1) სკოლასა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის გაძლიერება მოსწავლეთა საჭიროებების დასადაგენად;

(2) მოსწავლეებელთა შესაძლებლობების გაზრდა მოსწავლეებში სწავლისათვის მნიშვნელოვანი უნარების (stady skills) განვითარებისთვის.

ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ჩატრებული კვლევების შედეგები, პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგია, აღწერილია კვლევის ეტაპები: პრობლემის იდენტიფიცირება, პრობლემის გამომწვევი მიზეზები, ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება.

პრობლემისა და განხორციელებული ინტერვენციის ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა, სკოლისთვის შეგვემუშავებინა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ჩვენი აზრით, გაუადვილებთ მათ სამუშაო პროცესს და ხელს შეუწყობს სკოლასა და უნივერსიტეტს ერთმანეთთან კომუნიკაციის დაამყარებაში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად.

კვლევა განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: პრაქტიკული კვლევა, სასწავლო უნარები

1. შესავალი

უნივერსიტეტში სწავლისთვის მოსწავლეთა დაბალი მზაობა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემების მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს (Latterell, 2007; Horn, 2000; Gersten, 1998). მსგავსი პრობლემა აქტუალურია საქართველოშიც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოსწავლეთა უნივერსიტეტისათვის მზაობის შესახებ კვლევები მწირია, ცალკეული ანგარიშები მიუთითებს იმაზე, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველკურსელებს სწავლის პრობლემები ექმნებათ. სირთულეთა ნაწილი კი სასკოლო განათლების დაბალი ხარისხით არის განპირობებული (Erasmus + Georgia, 2014), რადგან უმაღლესი განათლებისათვის მზაობის განსაზღვრაში, თავის მხრივ, დიდი როლი ენიჭება ე.წ. სასწავლო უნარებს, რომლებიც მოსწავლეებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სათანადოდ არ უვითარდებათ.

სასწავლო უნარები მოიცავს დროის მართვას, კითხვის, მასალის დამახსოვრებისა და ჩანაწერების წარმოების ტექნიკას, რაც მოსწავლეს ეხმარება სწრაფ და ეფექტურ

სწავლაში (O'Donoghue, 2005-2006). სწავლისთვის საჭირო უნარები მნიშვნელოვანი რესურსია მოსწავლის მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის, ისევე როგორც, ზოგადად, პიროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ სწავლისთვის საჭირო უნარების განვითარება დაიწყოს ადრეული ასაკიდან (Meneghetti, 2007). სკოლა არის ის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის უნდა მოამზადოს პიროვნება. შესაბამისად, სკოლას უნდა გააჩნდეს რესურსები, ჰქონდეს სწორედ შემუშავებული სასწავლო გეგმები და ჰყავდეს კვალიფიკაციური კადრი, რომელიც შეძლებს მოსწავლეების სწავლისათვის საჭირო უნარების სათანადოდ განვითარებას.

უნივერსიტეტისათვის მზაობის უზრუნველყოფის საქმეში, აგრეთვე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტსა და სკოლას შორის თანამშრომლობას მოსწავლეთა საჭიროებების დიაგნოსტიკისათვის, სასწავლო გეგმებსა და სწავლების პრაქტიკაში შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვისთვის და ამ ცვლილებების ეფექტის შეფასებისათვის.

უნივერსიტეტებს და სკოლებს შორის უწყვეტი კავშირი ხელს უწყობს ფორმალური განათლების სხვადასხვა საფეხურების მიზნების დაახლოებას, სასკოლო სისტემის ამონაგების საუნივერსიტეტო განათლების მოთხოვნებზე მორგებასა და ფორმალური განათლების საფეხურებს შორის მოსწავლეთა ტრანზიციის გამარტივებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები

- ✓ სკოლასა და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებს შორის კავშირის გაძლიერება, პრობლემის იდენტიფიცირება ცვლილებების შედეგების შეფასებით.
- ✓ ამ უკუკავშირზე დაყრდნობით ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება, ინტერვენციების პირველადი შედეგების შეფასება.

2. პრობლემის იდენტიფიკაცია

უმაღლესი განათლებისათვის დაბალი მზაობა მსოფლიოს მასშტაბით უმაღლესი განათლების სისტემის მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც, სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული ე.წ. სასწავლო უნარების ნაკლებობით (Henley, Ramsey, & Algozzine, 1996; Hoover & Patton, 1995; Ley & Young, 1998; Strichart, Mangrum, & Iannuzzi, 1998; Waldron & McLeskey, 2000).

სასწავლო უნარები აერთიანებს კითხვის, დამახსოვრების, ჩანაწერების წარმოების, მასალის სტრუქტურირების სპეციალურ ტექნიკებს, რომელიც მოსწავლეს სწრაფად და ეფექტურად სწავლაში ეხმარება (Donoghue, 2005-2006).

სანდრა კერკა თავის ნაშრომში „study skills“, სასწავლო უნარების მნიშვნელობაზე საუბრობს: (1) სასწავლო უნარები ეხმარება სტუდენტს ინფორმაციის ორგანიზებასა და ეფექტურად გამოყენებაში. ახალგაზრდა სტუდენტებს სჭირდებათ დახმარება არა იმაში თუ რას სწავლობენ, არამედ როგორ სწავლობენ. (2) ეს უნარები საჭიროა არა მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის, არამედ წარმატებისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ამ უნარების მეშვეობით სტუდენტები ხდებიან მეტად თავდაჯერებულნი, საშუალება ეძლევათ, გამონახონ ახალი სტრატეგიები და ალტერნატიული მიდგომები საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად; (3) სასწავლო უნარების განვითარება, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც აქვთ სწავლის

შეზღუდული შესაძლებლობა, ანუ ვისაც უჭირს სწავლა და წარუმატებლობის გამო კარგავს მოტივაციას (Beckman, 2002).

ადამიანები, რომლებსაც განვითარებული აქვთ სასწავლო უნარები, ხშირად არიან უფრო წარმატებულნი, აქვთ მეტი ენერჯია საქმეების დასასრულებლად, ნაკლებად იქვემდებარებიან სტრესს, უფრო მეტ საქმეს აკეთებენ და მეტად პოზიტიურები არიან სხვებთან მიმართებაში. ყოველივე ეს განაპირობებს უკეთეს აკადემიურ შედეგებს და წარმატებას სხვა ასპარეზზეც (Dodd and Sundheim, 2005).

სასწავლო უნარების განვითარების აუცილებლობას უნივერსიტეტისათვის ახალგაზრდების მზაობის უზრუნველსაყოფად თავად უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების აკადემიური პერსონალიც აღიარებს.

ცენტრალური ნიუ-იორკის სკოლებში განხორციელებული კვლევის ანგარიშში აღწერილია: (1)სასწავლო უნარების განვითარებაზე მიმართული პრაქტიკა (რამდენად ხშირად ასწავლიდნენ მასწავლებლები მოსწავლეებს ამ უნარებს); და (2) მასწავლებელთა დამოკიდებულება კონკრეტული სასწავლო უნარის მნიშვნელოვნებასთან დაკავშირებით. უნარების სია მოიცავდა:

1. სათაურზე დაკვირვებას;
2. ჩანიშვნების გაკეთებას;
3. გაგების მონიტორინგს კითხვის პროცესში;
4. კითხვების დასმას კითხვის პროცესში;
5. პირველადი წაკითხვის შემდეგ მნიშვნელოვანი ინფორმაციის იდენტიფიცირებას;
6. ბარათების გამოყენებას სწავლის პროცესში;
7. გრაფიკების შექმნას, ინფორმაციის ორგანიზებას;
8. მოკლე შინაარსის ან პარაფრაზის წერას;
9. მნიშვნელოვანი საკითხების დამახსოვრებას სხვადახვა მეთოდით;
10. მასალის გამეორებას გარკვეული დროის შემდეგ.

კვლევაში ჩართული პედაგოგების აზრით, ათივე სასწავლო უნარი აუცილებელი და მნიშვნელოვანია და მათი განვითარება სკოლაშივე უნდა დაიწყოს. კვლევის თანახმად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩანიშვნების გაკეთებასა და კითხვის ეფექტურ სტრატეგიებს (Thorpe, 2010).

ცალკეულ კვლევებში, აგრეთვე, აღნიშნულია ცალკეული სასწავლო უნარის (მაგალითად, დროის მართვის, გამოცდებისათვის მზადების, კითხვის, დამახსოვრებისა და სხვა ტექნიკების მნიშვნელობა აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად (Zimmerman , 1995. Bliss and Muller, 1987. Knapp, 1979, Blerkom, 2002).

მიუხედავად სასწავლო უნარების ასეთი მნიშვნელოვნებისა, მათი განვითარება ფორმალური განათლების სისტემის ფარგლებში პრობლემას წარმოადგენს.

2005 წელს იტავამბას საზოგადოებრივი კოლეჯში პირველკურსელთა და მათ პედაგოგთა შორის ჩატარებული კვლევის თანახმად, პირველკურსელსტუდენტთა

უმრავლესობა განიცდის სასწავლო უნარების ნაკლებობას. კერძოდ: ჩანიშვნების გაკეთება უჭირს გამოკითხულთა 88% -ს, სწავლის სტრატეგიების გამოყენების პრობლემა აქვს 93%-ს, გამოცდის ჩაბარების ტექნიკის გამოყენების სირთულეებს აწყდება 82%, საორგანიზაციო. კითხვისა და მოსმენის უნარების ნაკლებობას განიცდის 75%, ხოლო დროის მართვის უნარის ნაკლებობას – 85% (Simmons, 2006).

ამ პრობლემის პრევენციისათვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლისთვის საჭირო უნარების შესწავლა დაიწყოს ადრეული ასაკიდან (Meneghetti, 2007).

სასწავლო უნარების განვითარება, თავისმხრივ, კომპლექსური პროცესია, რომელიც მოიცავს კოგნიტურ და მეტა-კოგნიტურ ქვეპროცესებს. კოგნიტური სასწავლო პროცესის მიზანია მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო მასალის გააზრებაში. სწავლის პროცესი უმჯობესდება, თუ ახალი მასალა გარკვეული შინაარსის მატარებელია მოსწავლისთვის და ინტეგრირდება უკვე არსებულ ცოდნასთან (Gettinger and Seibert, 2002).

მეტაკოგნიცია (აზროვნება აზროვნების შესახებ), ანუ ცოდნა საკუთარი აზროვნების პროცესების შესახებ, არის თვითკონტროლის პროცესი, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მონიტორინგსა და შეფასებას. მეტაკოგნიტური აქტივობის განხორციელება მოსწავლეს მაშინ შეუძლია, თუ ის ფლობს არა მხოლოდ ე.წ. დეკლარაციულ ცოდნას (ფაქტებს, ინფორმაციას, მაგ. ცოდნას მეტაკოგნიტური სტრატეგიების შესახებ), არამედ პროცედურულ ცოდნასაც (იცის როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა-გეგმავს, ამოწმებს და აფასებს სწავლის პროცესსა და შედეგებს) (ნარიმანიშვილი, 2013). ორმორდი მიმოიხილავს შემდეგ მეტა-კოგნიტურ სასწავლო სტრატეგიებს, რომლებსაც მიიჩნევს ეფექტურად: გაგების მონიტორინგი; შეჯამება; ჩანიშვნების გაკეთება; კარგი ორგანიზაციული უნარები; მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოყოფის უნარი. მისი აზრით, ეს სტრატეგიები აძლიერებს კოგნიტურ პროცესებს, რაც ზრდის სტუდენტების აკადემიურ მიღწევებს (Ormord, 2000).

სამეცნიერო ლიტერატურაში გაკეთებული დასკვნები მიგვანიშნებს, რომ სასწავლო უნარების, როგორც უმაღლეს სასწავლებელში სწავლისათვის მზაობის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორის, ნაკლებობა პირველკურსელებში ორ ძირითად მიზეზს შეიძლება მივაწეროთ: (1) სკოლის შიგნით ამ უნარების სწავლებისათვის რესურსების, ექსპერტიზისა და მზაობის ნაკლებობას; ისევე როგორც (2) სკოლასა და უნივერსიტეტებს შორის პრობლემების იდენტიფიკაციისა და ინტერვენციების შეფასებისათვის ეფექტური თანამშრომლობის არარსებობას:

თუკი ზოგიერთი მოსწავლე საკუთარი ძალისხმევით ახერხებს სასწავლო უნარების განვითარებას, სხვებისთვის ამ უნარების სრულყოფა შეუძლებელია სისტემატიური ინსტრუქტირებისა და განმეორებადი პრაქტიკის გარეშე. ამიტომ, სასწავლო უნარების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანმიმდევრული მიდგომის არსებობას, როგორც სასწავლო გეგმებში, ისე მასწავლებელთა პრაქტიკაში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სასწავლო უნარების განვითარება მთელი სიცოცხლის მანძილზეა შესაძლებელი, თუმცა პირველი მცდელობები ადრეულ ასაკში, სკოლის მერხიდანვე უნდა განხორციელდეს (Gettinger and Seibert, 2002) და ამისათვის მასწავლებლების თანმიმდევრული, სისტემური მცდელობებია საჭირო.

კარმენი და ლატერელი თავიანთ ნაშრომში „მათემატიკური კოლეჯის მზაობის პრობლემის „მიზეზები და გადაჭრის გზები“ აღნიშნავენ, თუ რაოდენ დიდი

მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტისათვის მზაობის უზრუნველსაყოფად სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის ეფექტურ თანამშრომლობას. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ეს თანამშრომლობა, ერთის მხრივ სასწავლო უნარების განვითარებაში ადრეული პრობლემების დიაგნოსტიკაში გვეხმარება, ხოლო მეორეს მხრივ - სკოლის დონეზე განხორციელებული ცვლილებების (კურიკულუმი, სწავლების სტრატეგიები) ეფექტების შეფასებაში და ინტერვენციების სტრატეგიის კორექტირებაში (Latterell, 2007).

3. მეთოდოლოგია

პრაქტიკული კვლევა გამოყენებითი ხასიათის კვლევაა, რომელიც ხორციელდება პრაქტიკოსი მკვლევარებისა და იმ პირების მიერ, რომლებსაც ეხებათ კონკრეტული პრობლემა. ის გულისხმობს ლოკალური პრობლემის დიაგნოსტიკას, კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას, ახალი ცოდის შექმნას კვლევაზე დაყრდნობით და მიღებული ცოდნის გამოყენებას არსებული პრობლემის გადასაჭრელად (Lewin, 1952).

ნოპკესთან ვეცნობით პრაქტიკული კვლევის დანერგვის რამდენიმე მნიშვნელოვან მიზეზს(1997):

- პრაქტიკული კვლევა ქმნის შესაბამის გარემოს, უკეთ გავიგოთ და გავაუმჯობესოთ ის სტრუქტურა, სადაც ვმუშაობთ;
- ახალი ცოდნა, რომელიც სასარგებლოა არამხოლოდ კონკრეტული მკვლევარისათვის, არამედ მიზნობრივი ჯგუფისათვის;
- თანმხვედრია რა დემოკრატიული პროცესებისა, პრაქტიკული კვლევის განხორციელება ქმნის სამართლიან, დემოკრატიულ, მიუკერძოებელ კვლევით სივრცეს.

პრაქტიკულ კვლევას ახასიათებს რიგი თავისებურებები, კერძოდ:

- (1) პრაქტიკული კვლევა რეალურ პრობლემას ეყრდნობა;
- (2) პრაქტიკულ კვლევაში ორივე მხარე ერთობლივად განსაზღვრავს პრობლემას, რესპოდენტები აქ თანამკვლევარებად აღიქმებიან;
- (3) პრაქტიკული კვლევის შედეგები ვალიდურია მაშინ, როდესაც პრობლემის გადასაჭრელად განხორციელებული ინტერვენციები შედეგის მომცემია.
- (4) პრაქტიკული კვლევა გარკვეულ შეზღუდვებს აწყდება, რადგან ის კონკრეტულ სიტუაციაზე და კონკრეტულ პიროვნებებზეა მორგებული და ინტერვენციებიც სწორედ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად არის დაგეგმილი (Heron and Risson. 1981).

პრაქტიკულ კვლევას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა აქვს, რომლის გათვალისწინება აუცილებელია პროცესის წარმატებულად განხორციელებისთვის. კერძოდ, მკვლევარს, კვლევის მეთოდების ცოდნის გარდა, უნდა გააჩნდეს ჯგუფური მუშაობის დინამიკის მართვის, ადამიანთან ურთიერთობების, ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. კვლევაში ჩართულობა დიდ ძალისხმევას მოითხოვს მონაწილეებისგან(Reason and Marshal,).

განათლების სფეროში პრაქტიკული კვლევის მიზანია: პროფესიული განვითარება, სწავლების დონის ამაღლება, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. მასწავლებელიც და მოსწავლეც უკეთ სწავლობს და ასწავლის მაშინ, როდესაც ჩართულია უშუალოდ პრაქტიკულ კვლევით საქმიანობაში, კოლეგებთან თანამშრომლობს და უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას (Linda Darling-Hammond, 1999). აშშ-სა და ევროპაში

განათლების სისტემაში დანერგილი პრაქტიკული კვლევა მსოფლიოს მასშტაბით უამრავი წარმატებული რეფორმის საფუძველი გახდა (Somekha and Zeichner, 2008).

პროცესის თვალსაზრისით, პრაქტიკული კვლევა ციკლურ ხასიათს ატარებს და შემდეგ ეტაპებს მოიაზრებს: პრობლემის იდენტიფიცირება, გააზრება, პრობლემის მიზეზების დადგენა, ინტერვენციის დაგეგმვა, ინტერვენცია, შედეგების ანალიზი.

მოცემული კვლევითი პროექტის მეთოდოლოგიაც პრაქტიკული კვლევის ფილოსოფიას, პრინციპებსა და პროცედურებს ეფუძნება - იგი მოიცავს პრობლემის დიაგნოსტიკის, ინტერვენციების განხორციელებისა და შეფასების ფაზებს(შეფასების ფაზების მიგნებებს).

პრობლემის დიაგნოსტიკისა და შეფასების ეტაპებზე გამოყენებული იქნა როგორც რაოდენობრივი ისე თვისებრივი მეთოდები, რომლებიც მოცემულია ცხრილში # 1.

ცხრილი 1: კვლევის ეტაპები და გამოყენებული მეთოდები

კვლევის ეტაპი	ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან	ფოკუს ჯგუფი სტუდენტებთან	ზღვრავებული ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, ლექტორებთან	მოსწავლეთა გამოკითხვა	სტუდენტთა გამოკითხვა
დიაგნოსტიკის ეტაპი					
ინტერვენციების შეფასების ეტაპი					

4. პრობლემის იდენტიფიცირების/ დიაგნოსტიკის ეტაპის შედეგები

ჯერ კიდევ საკვლევ კითხვებზე მუშაობის პროცესში შევეცადეთ გაგვერკვია, თუ კონკრეტულად რა პრობლემებს აწყდებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველ

კურსზე სწავლისას. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ინტერესის საგანი არ იყო საგნობრივი კომპეტენციები, არამედ სასწავლო უნარები.

ფოკუს ჯგუფი დაიგეგმა და განხორციელდა სამი განსხვავებული უმაღლესი სასწავლებლის ფარგლებში, რომელთა შერჩევა მოხდა მხოლოდ ხელმისაწვდომობის ფაქტორის გათვალისწინებით. ეს უნივერსიტეტებია:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი;
- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი.

4.1 ფოკუს ჯგუფი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელებთან

შეხვედით და გავესაუბრეთ 50 სტუდენტს, რომლის დიდმა ნაწილმა გასაუბრების დროს საკვლევი თემისადმი განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინა.

ბევრი მათგანი აცხადებდა რომ: „არც სკოლის და არც უნივერსიტეტის მხრიდან მათ არ უგრძვნიათ მოსწავლის/სტუდენტის მომავალით დაინტერესება.“

კვლევითი ჯგუფისათვის მნიშვნელოვანი და ამავედროულად განსაკუთრებით საინტერესო იყო სტუდენტების მიერ ჩამოთვლილი უნარები, რომელთა არასაკმარისად განვითარება, მათი აზრით, ძლიერ აფერხებდა და აფერხებს ზოგადად ყველა პირველკურსელის სასწავლო პროცესს.

სტუდენტების მიერ ჩამოთვლილი უნარებიდან გამოკვეთილად პრობლემატური აღმოჩნდა:

- დროის მართვისა და საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვის უნარი;
- პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი;
- ჯგუფური მუშაობის უნარი;
- კვლევის უნარი (სასწავლო მასალების მოძიების უნარი);
- აკადემიური წერის უნარი.

სტუდენტების აზრით, ზემოხსენებული უნარების გამომუშავება/განვითარება სკოლის პერიოდში უნდა მომხდარიყო.

ნაწილი სტუდენტებისა, როცა სკოლაში სწავლის წლებს იხსენებდნენ, აცხადებდნენ, რომ ხშირად მასწავლებელი აძლევდა მათ ისეთ დავალებას, რომელიც მიზნად ისახავდა ზემოხსენებული უნარების განვითარებას, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში პედაგოგი არ უხსნიდა, თუ როგორ უნდა შეესრულებინათ დაკისრებული ამოცანა.

„გეოგრაფიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები ხშირად მავლებდნენ პრეზენტაციების გაკეთებას, მაგრამ უმაღლესში ჩაბარებისთანავე მივხვდი, რომ ყველაფერს არასწორად ვასრულებდი.“

ხშირი იყო შენიშვნები ასევე უმაღლესი სასწავლებლის მიმართ, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სასწავლო მასალებს ეხებოდა. სკოლაში მოსწავლეები

სწავლობდნენ მათთვის კარგად ნაცნობი სახელმძღვანელოებით. მათ ზუსტად იცოდნენ ყოველდღე, რა და რამდენი უნდა ესწავლათ. ხოლო უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო მასალების ძიება და ორგანიზება, ხშირ შემთხვევაში, მათი გასაკეთებელი გახდა.

„ლექტორმა ორი დღით ადრე აგვიტვირთა დავალება, რომელიც გულისხმობდა ინფორმაციის ინტერნეტით მოძიებასა და პრეზენტაციის მომზადებას. მე კი მხოლოდ მწირი ინფორმაციის მოპოვება მოვახერხე. ბოლოს მომიწია თანაკურსელის მოძიებული მასალით მესარგებლა და მარტო იმაზე მეფიქრა, როგორ არ დამსგავსებოდა ჩემი პრეზენტაცია მისას.“

4.2 ფოკუს ჯგუფი საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პირველკურსელებთან

სტუდენტების უმრავლესობა ამ ფოკუს ჯგუფზეც ამბობდა, რომ ხშირად უფიქრიათ ამ თემაზე, მაგრამ არ ეგონათ, რომ ვინმე როდესმე დაინტერესდებოდა, თუ რა უჭირთ მათ სწავლის პროცესში. *„მშობლებიცა და მასწავლებლებიც ძირითადად ორიენტირებულნი არიან გამოსაშვებ გამოცდებზე და არც აინტერესებთ ამ გამოცდებს რა მოჰყვება“*, - განაცხადა ერთ – ერთმა სტუდენტმა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისგან განსხვავებით, საზოგადოებრივ საქმეთა უნივერსიტეტის სტუდენტები ბევრად უფრო თანმიმდევრულები და ნაკლებად ემოციურები იყვნენ თავიანთ პრობლემების განხილვისას. მათი აზრით, უმნიშვნელოვანესი სხვაობა სკოლასა და უმაღლეს შორის განსხვავებული შეფასების სისტემით იყო განპირობებული.

„მახსოვს მე-10 კლასიდან მოყოლებული მათემატიკის დავალებებში ხშირად 7 ქულას ვიღებდი. წლის ბოლოს კი გულდასმით მოვეკიდე საგანს, მშობლებმა კერძო მასწავლებელიც კი ამიყვანეს და საბოლოო გამოცდაში უმაღლესი შეფასება დავიმსახურე“.

ეს სტუდენტი უმაღლესში ბევრი სხვა აბიტურიენტისგან განსხვავებით მაღალი ქულებით ჩაირიცხა და 100% დაფინანსება მოიპოვა. ამავე სტუდენტს, კვლევის განხორციელების ეტაპისათვის პირველი შუალედური გამოცდა ჩაგდებული ჰქონდა, ხოლო მეორეში მაქსიმალური შეფასების ნახევარი ქულა ჰქონდა აღებული. საბოლოო ჯამში ალბათობა იმისა, რომ საგანი რჩებოდა, ძალიან დიდი იყო. საუბრისას ამ რესპონდენტმა გულახდილად განაცხადა:

„აქამდე ამ საკითხზე ნამდვილად არ დავფიქრებულვარ, მაგრამ ახლა კი ნამდვილად ვხვდები, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისთანავე, რომ არ მოვდუნებულიყავი და ოდნავ მეტი მონდომება გამომეჩინა, ამ საგანში მაღალი ქულა მექნებოდა, იმიტომ რომ ძალიან ადვილი საგანია“.

ეს მაგალითი ნათლად ასახავს იმ მდგომარეობას, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში მოსწავლეებს არ უვითარდებათ სწავლისადმი თანმიმდევრული, სისტემური მიდგომა, საკუთარ თავზე მუშაობის, სამუშაოს დროში განაწილების უნარ-ჩვევები.

შეფასების თემას თუ განვარდობთ, უპრიანი იქნება აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ უმაღლესში არსებული განსხვავებული შეფასების არსებობის შესახებ, უკლებლივ ყველა სტუდენტი იყო ინფორმირებული. ხოლო რაც არ უნდა საოცრად ჟღერდეს, ასევე უკლებლივ ყველამ ინფორმაციის პირველწყაროდ მეგობრები და ნათესავები

დაასახელა. ჩამიებისას კი გაირკვა, რომ სკოლაში მასწავლებლის და ადმინისტრაციის მხრიდან საერთოდ არ ყოფილა ამ თემაზე საუბარი.

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტების ფოკუს ჯგუფის მიერ ჩამოთვლილი პრობლემური უნარების ნუსხა, დიდად არ განსხვავდებოდა სხვა უნივერსიტეტების სტუდენტების მიერ ჩამოთვლილი უნარებისგან. აქაც ყველაზე პრობლემური გახლდათ:

- ✓ დროის და სასწავლო პროცესების მართვის უნარი;
- ✓ პრეზენტაციის შესრულების და კომუნიკაციის უნარი;
- ✓ კრიტიკული აზროვნების უნარი;
- ✓ კვლევის უნარი (სასწავლო მასალების მოძიების უნარი).

სტუდენტებმა გამოთქვეს დიდი სურვილი, უმაღლესშივე გაველოთ დროის მართვისა და პრეზენტაციის უნარების განმავითარებელი კურსები. ბევრმა მათგანმა ინტერნეტში დისტანციური კურსების ძებნაც დაიწყო.

4.3 ფოკუს ჯგუფი ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პირველკურსელებთან

შევხვდით და გავესაუბრეთ 50 სტუდენტს. სტუდენტების დიდი ნაწილი აქტიურობდა ამ გასაუბრების დროს და მათი შედეგები, მსგავსად სხვა უნივერსიტეტებისა, დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

აქაც ყველაზე პრობლემურ უნარად დასახელდა დროის მართვა, ხოლო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის განსაკუთრებულ განსხვავებად დასახელდა თავისუფალი კრედიტებისა და საგნების არჩევითობის სისტემა.

სტუდენტების უმრავლესობამ არ იცოდა, რომ სკოლაში შეეძლოთ აერჩიათ დამატებითი საგანი, რადგან სკოლა ამას თავად მათთან შეუთანხმებლად აკეთებდა.

„თავის დროზე რომ გვცოდნოდა მე და ჩემს კლასელებს, მულტიმედიურ დიზაინს ავირჩევდით. მე პირადად ახლა ძალიან გამომადგებოდა, თანაც მე და ჩემს მეგობრებს პატარობიდანვე ძალიან გვინტერესებდა ფილმების მონტაჟი. უმაღლესში კი ლექტორის დახმარებით ინტერნეტ არხიც კი გავაკეთეთ“.

სამივე უნივერსიტეტის სტუდენტები პრობლემად ასევე ასახელებენ სკოლაში უცხო ენების უხარისხოდ სწავლებას.

„ჩვენს სკოლაში 4 სხვადასხვა უცხო ენას ასწავლიდნენ: ინგლისურს, რუსულს, გერმანულს და ბოლოს მე– 11 მე-12 კლასში ესპანურს და გვიმატეს. საბოლოო ჯამში ვერცერთი ვისწავლე ისე, რომ შევძლო სასწავლო მასალების კითხვა“.

მშობლიურ ენაზე თარგმნილი სასწავლო მასალების ხარისხი და რაოდენობა ცალკეული კვლევის საფუძველს იძლევა. თუმცა ერთი რამ მაინც უდაოა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და მცირე ზომის გამო, სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა, მითუმეტეს საკუთარით გამდიდრება, კარგა ხანს პრობლემად დარჩება, რაც სტუდენტებს უახლესი მიღწევებისა და სწავლისათვის საჭირო მასალების ხარისხიანად შესწავლაში ხელს უშლის.

დასკვნა

მოკვლევის ფაზაზე დადგინდა, რომ სკოლის კურსდამთავრებულები გარკვეულ სირთულეებს განიცდიან უნივერსიტეტის პირველ კურსზე სწავლისას, რასაც მათი აზრით გარკვეული უნარების ნაკლებობა განაპირობებს. ამ უნართაგან ყველაზე მწვავედ დგას დროის და, ზოგადად, სასწავლო პროცესის მართვის პრობლემა.

იქიდან გამომდინარე, რომ სამივე ფოკუს ჯგუფში სრულიად განსხვავებული სკოლა დამთავრებული სტუდენტები იყრიდნენ თავს, დიდია ალბათობა არაერთგვაროვანი გარემოებებისა, თუმცა ტენდენცია ნათელი გახლავთ - სტუდენტებს ყველაზე მეტად იმ საკითხში უჭირთ, რაც ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია. მათ არ იციან როგორ დაგეგმონ საკუთარი სასწავლო პროცესი. მათ არიციან როგორ ისწავლონ!

გარდა ამისა, პირველკურსელების თვითშეფასებამ აჩვენა, რომ მათ აქვთ პრობლემები დამახსოვრების, ჩანაწერების წარმოების, კითხვის უნარებთან დაკავშირებითაც.

აქედან გამომდინარე, ჩვენი გადაწყვეტილება იყო ამ მიმართულებით უფრო სიღრმისეულად შეგვესწავლა სკოლაში არსებული ვითარება და დაგვედგინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს სტუდენტების გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ სკოლა არ ინტერესდება მათი შემდგომი ბედითა და წარმატებებით.

პრაქტიკული კვლევის ზოგადი სპეციფიკისაგან განსხვავებით, ჩვენს შემთხვევაში სამიზნე სკოლის შერჩევა მოხდა საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ვინაიდან ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა სკოლის დონეზე გარკვეული ექსპერიმენტების განხორციელება კურსდამთავრებულთა უმაღლესში სწავლებისათვის მზაობის გასაზრდელად, თავიდანვე ვეძებდით ისეთ სკოლას, რომელსაც (ა) ერთის მხრივ ექნებოდა ამგვარ პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობები; და (ბ) მეორეს მხრივ დაინტერესდებოდა და მზაობას გამოთქვამდა პროექტში მონაწილეობისათვის.

სამიზნე სკოლის ძიებისას შევჩერდით აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლაზე. ჩვენი არჩევანის შეჩერების მიზეზად გვინდა დავასახელოთ ის ფაქტი, რომ თბილისის საჯარო სკოლებიდან ეს სკოლა ერთ-ერთი გამორჩეულია ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლებით. ამ სკოლის მოსწავლეებს, ჩვეულებრივ, ძალიან კარგი შედეგები აქვთ ერთიან ეროვნულ გამოცდებში.

გარდა ამისა, ჩვენ გვქონდა დაშვება, რომ ამ სკოლის საზოგადოება დიდი ალბათობით მზაობას გამოთქვამდა ამგვარ კვლევაში მონაწილეობისათვის და დაინტერესებული იქნებოდა კვლევის შედეგებით. (იხ. გაგრძელება სტატიაში ID2914 „როგორ გავაუმჯობესოთ სწავლისთვის საჭირო უნარები (study skill)“)

გამოყენებული ლიტერატურა

1. Armstrong, W., J. B A., (2002). The role of skills and study behaviors in students of color who traditionally have low admissions rates to University of California: University of Maryland University College, Europe, 2000 M.P.A., Bowie State University, Europe.
2. Bandura, A. ,(1986). Social foundations of thought and action: A social cognitive theory. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.
3. Boller, B. (2008). Teaching organizational skills in middle school: Education Digest.
4. Butler, G. and Hope, T.,(1995). The mental fitness guide: Manage your mind. Oxford: Oxford University Press .
5. Bliss, L. B., & Mueller, R. J.,(1987). Assessing study behaviors: Findings from a new instrument: Journal of Developmental Education.
6. Butler, D., & Winne, P. , (1995).Feedback and SRL: A theoretical synthesis. Review of Educational Research.
7. Burkhalter, B., (2000). York College Learning Skills Association Pathways to Success: Bridging the Gap Between High School and College Composition: New York College Learning Skills Association.
8. Carmen M. Latterell and T., F., (2007). Association Causes and Possible Solutions to the Mathematics College Readiness Problem.
9. Christin T., Dr. Summer m.,(2010). Integrating Effective Study Skills Instruction Promoting Academic Achievement in the Middle School Classroom.
10. Cornoldi, C. , (1995). Metacognizione e apprendimento [Metacognition and learning]: Bologna, Ital.
11. Elliott, E. M., Barrilleaux, K. M., & Cowan, N. ,(2006). Individual differences in the ability to avoid distracting sounds: European Journal of Cognitive Psychology.
12. Gersten, R.,(1998). Recent advances in instructional research for students with learning disabilities: An overview. Learning Disabilities Research & Practice.
13. Gorrell, J., & Capron. E. , (1990). Cognitive modeling and self-efficacy: Effects on preservice teachers' learning of teaching strategies. Journal of Teacher Education, 41(2), 15-22.
14. Henley, M., Ramsey, R. S., & Algozzine, R. F., (1996). Characteristics and strategies for teaching students with mild disabilities (2nd ed.). Boston: Allyn & Bacon.
15. Heron, J ., and Reason, P.(1981) "The Practice of Co-operative Inquiry: Research 'with' rather than 'on' People" (pp. 178-188).
16. Hoover, J. J., & Patton, P. R. , (1995). Teaching students with learning problems to use study skills: A teacher's guide. Austin, TX: Pro-Ed.
17. Knapp, R. C., (1972). Independent study as an objective of instruction. High School Journal.
18. Ley, K., & Young, D. B. , (1998). Self-regulation behaviors in underprepared (developmental) and regular admission college students. Contemporary Educational Psychology.
19. Meneghetti, C., De Beni, R., & Cornoldi, C. , (2007). Strategic knowledge and consistency in students with good and poor study skills. European Journal of Cognitive Psychology, 19(4/5), 628-649, Psychology Press.

20. Rita O' Donoghue, MPhil, M.A. (Ed), (2005-2006).STUDY SKILLS: MANAGING YOUR LEARNING A Guide for Students in Higher Education, Access Office, NUI Galway ,National University of Ireland, Galway.
21. Simmons, M., (2006). Effective study skills for post-secondary education. College Quarterly.
22. Sue W. Chapman M., R., Time management, UGA extantion.
23. Strichart, S. S., Mangrum, C. T., & Iannuzzi, P.,(1998). Teaching study skills to students, with learning disabilities, attention deficit disorders, or special needs (2nd ed.). Boston: Allyn Bacon.
24. Waldron, N.L., & McLeskey, J., Preventing academic failure. In K.M.Minke &
25. G.C. Bear (Eds.), (2000). Preventing school problems-promoting school success: Strategies and programs that work . Bethesda, MD: National Association of School Psychologists.
26. Zimmerman, B. J. ,(1989). A social cognitive view of self-regulated academic learning. Journal of Educational Psychology.
27. Zimmerman, B.J., & Martinez-Pons, M. ,(1986). Development of a structured interview
28. for assessing student use of self-regulated learning strategies. American Educational Research Journal.
29. ანდლულაძე, ნ., ბრეგვაძე, თ., (2014). უმაღლესი განათლების სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის კვლევა: თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
30. გოგიჩაიშვილი, ნ., გაგუა, თ., ხუნაშვილი, მ., (2014). დროის ეფექტურად მართვის ხელშეწყობა თბილისის 131-ე საჯარო სკოლის მე-5¹ კლასში: თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Article received 2017-03-13